საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2706 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ – თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ა(ა)იპ – თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა (ს/კ: №431172063) ქალაქ თელავში საახალწლო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭირო სახელმწიფო შესყიდვები, 33 750 (ოცდაცამეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი